ვიბრძოლოთ საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის საგზურებისთვის!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 92 (4086)

1970 წ. 13 მაისი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სპორტსმენთა ღირსების საქმე

საქართველოს სპარტაკიადის დეგულეგიდან

იმ მიზნით, რომ განხორციელდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 11 აგვისტოს დადგენილება „ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ", შემოწმდეს სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისა და XX ოლიმპიური თამაშებისთვის საქართველოს სპორტსმენთა მზადება, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ 1970-1971 წლებში საქართველოს V საზაფხულო სპარტაკიადა გაიმართოს.

რესპუბლიკური სპარტაკიადა მიზნად ისახავს, აგრეთვე, მოსახლეობაში ფიზკულტურისა და სპორტის კიდევ უფრო ფართოდ დანერგვას, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და მასობრივ-სპორტული მუშაობის დონის შემდგომ ამაღლებას, სპორტული მიღწევების ზრდას, ახალგაზრდა ნიჭიერი ათლეტების გამოვლენას.

სპარტაკიადა ოთხ ეტაპად გაიმართება. I ეტაპია ფიზკულტურის კოლექტივების სპარტაკიადები, რომლებიც ამა წლის 1 ივნისამდე უნდა დამთავრდეს. შემდეგ სტარტს აიღებს ასპარეზობის II ეტაპი—რაიონული სპარტაკიადები (ივნისი-აგვისტო), რათა ამ პერიოდისთვის გაირკვეს III ეტაპის — რესპუბლიკურ-ზონალური სპარტაკიადების მონაწილეთა ვინაობა.

რესპუბლიკურ-ზონალური სპარტაკიადები (მონაწილეობენ რაიონების ნაკრები გუნდები) წლეულს ოქტომბერში მოეწყობა. აგვისტოში დაიწყება ქალაქების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის სპარტაკიადებიც, რომლებიც 1971 წლის მაისამდე უნდა დამთავრდეს. ესეც III ეტაპის ღონისძიებაა.

IV ეტაპს შეადგენენ საქართველოს სპარტაკიადის ფინალური ტურნირები, რომლებიც თბილისში 1970 წელს ჩატარდება.

რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამაში შედის 26 სახეობა (აფრონსობა, თანამედროვე ხუთჭიდი, კალათბურთი, კრივი, ლელო, მძლეოსნობა, მშვილდოსნობა, აკადემიური, ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობა, ტყვიის სროლა, სასტენდო სროლა, ტანვარჯიში, ფარიკაობა, ფრენბურთი, ცურვა, ცხენოსნობა, ძალოსნობა, წყალბურთი, წყალში ხტომა, ტრეკზე ველოსრბოლა, საგზატკეცილო ველოსრბოლა, თავისუფალი, კლასიკური, ქართული ჭიდაობა, სამბო, ხელბურთი).

ზონებში შეჯიბრებათა პროგრამაში შეტანილია: კალათბურთი, ლელო, მძლეოსნობა, ფარიკაობა, ფრენბურთი, ძალოსნობა, საგზატკეცილო ველოსრბოლა, ჭიდაობის ოთხივე სახეობა და ხელბურთი, სულ 18 სახეობა.

მძლეოსნობაში, ტანვარჯიშსა და ცურვაში აუცილებელია მოზარდთა გუნდების გამოყვანა, რომელთა წევრები მოზრდილთა შეჯიბრებაში არ დაიშვებიან.

რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალში იასპარეზებენ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, ფოთის, ჭიათურისა და ტყიბულის ნაკრები გუნდები, აგრეთვე, ზონალურ ტურნირებში სხვადასხვა სახეობაში გამარჯვებული კოლექტივები.

ფინალში მონაწილე ნაკრები გუნდების შემადგენლობაში დაიშვებიან ის სპორტსმენები, რომლებიც 1970-71 წლებში დაამტკიცებენ, სულ ცოტა, I თანრიგს (ზონალურ სპარტაკიადაში — II თანრიგს) და გაწერილი არიან ქალაქში (ასსრ ან ოლქში) 1970 წლის 1 იანვრამდე (გაწერა არ ეხებათ არმიაში გაწვეულთ, დემობილიზებულებსა და იმ პირებს, რომლებიც სასწავლებლებში ჩაირიცხებიან ან დაამთავრეს იგი და სამუშაოდ გაიგზავნენ).

სპარტაკიადაში საერთო გუნდური ადგილები განისაზღვრება პირად და გუნდურ შეჯიბრებებში დაგროვილი ქულების უმეტესობით (ჭაბუკთა და გოგონათა შედეგები გუნდურ ჩათვლაში ნახევარი კოეფიციენტით შედის). ქალაქების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის გუნდების შეჯიბრებებში ცალკეულ სახეობებსა და საერთო გუნდურ ჩათვლაში გამოვლინდებიან ქალთა შორის I-VI ადგილებზე გასული გუნდები, პარალელურად — I-VI ადგილების მფლობელნი — სპორტსაზოგადოებისა და უწყებათა გუნდებს შორის.

ნაკრები გუნდების, ჭაბუკთა და გოგონათა, აგრეთვე, ზონალურ შეჯიბრებათა საერთო გუნდურ ჩათვლაში შედის გუნდურ და პირად შეჯიბრებებში მოპოვებული I-VI ადგილები. საამისოდ დადგენილია ქულობრივი შეფასება: I ადგილისთვის სპორტსმენს ეწერება 7 ქულა, გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებულ კოლექტივს — 14, II ადგილისთვის — 5 და 10, III ადგილისთვის — 4 და 8 და ა. შ. ამას გარდა, შესაბამისად დამატებით ერიცხებათ: სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულებისა და საქართველოს რეკორდის დამყარებისთვის — თითო ქულა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულებისა და საკავშირო რეკორდის დამყარებისთვის — 3-3 ქულა, ევროპის რეკორდისთვის — 5, მსოფლიო რეკორდისთვის — 7 ქულა.

რესპუბლიკის სპარტაკიადის კომპლექსურ ჩათვლაში I, II და III ადგილებზე გასული გუნდები დაჯილდოვდებიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი პრიზებითა და საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის შესაბამისი ხარისხის დიპლომებით.

ნაკრებ გუნდებს შორის სპორტის ცალკეულ სახეობებში I, II და III ადგილებზე გასული გუნდები დაჯილდოვდებიან ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის შესაბამისი ხარისხის დიპლომებით. გამარჯვებულ კოლექტივებს ენიჭებათ რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება და გადაეცემათ გარდამავალი პრიზები.

ჭაბუკებისა და გოგონების ტურნირში I, II და III ადგილებზე გასული გუნდები მიიღებენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გარდამავალ პრიზებსა და საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის შესაბამისი ხარისხის დიპლომებს, სახეობების მიხედვით I ადგილებზე გასული გუნდები — გარდამავალ პრიზებს.

ზონებში საერთო გუნდურ ჩათვლაში საუკეთესო კოლექტივები (I, II, III) დაჯილდოვდებიან ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის I, II და III ხარისხის დიპლომებით.

ზონებში II და III ადგილებზე გასული გუნდები (სახეობების მიხედვით) დაჯილდოვდებიან ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის III ხარისხის დიპლომებითა და სიგელებით. ზონების

(დასასრული მე-2 გვ.)

ხტომის წინ.

ლაპაზი ცის ფერადი გუმბათები

ვარაშუტით ხტომა სპორტის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი და რთული ტექნიკური სახეობაა. მაგრამ დღევანდელი სრულყოფილი და უსაფრთხო ტექნიკის წყალობით იგი ახალგაზრდობის სულ უფრო ფართო ფენებისთვის ხდება ხელმისაწვდომი. აი, რას ამბობს დონსაფის რესპუბლიკური ავიასპორტული კლუბის უფროსი გ. გურგენიძე:

„ჩვენი კლუბის მატერიალური ბაზა შარშან მნიშვნელოვნად განმტკიცდა. მივიღეთ რამდენიმე ახალი სპორტული თვითმფრინავი, ბევრი პარაშუტი. ყოველივე ამან საშუალება მოგვცა, რომ კლუბის საპარაშუტო და სათვითმფრინავო ჯგუფებში მუშაობა უფრო ფართოდ გაგვეშალა.

ვარჯიშს კვირაში სამჯერ ვატარებთ ჩვენს სასწავლო აეროდრომზე, დანარჩენი დღეები კი თეორიას ეთმობა. ახალგაზრდებს ამეცადინებენ გამოცდილი ინსტრუქტორები ა. მესტვირიშვილი, გ. ქარსელაძე, ავიარგოლის მეთაური გ. ჯიღაური, საპარაშუტო რგოლის მეთაური რ. ლობჟანიძე და სხვები".

ეს ყველაფერი ახალგაზრდებს შეეზებათ. "როგორღა აქვთ საქმე უკვე გამოცდილ სპორტსმენებს — საქართველოს ნაკრების წევრებს, რომლებიც გულმოდგინედ ემზადებიან წლევანდელი დიდი შეჯიბრებებისთვის?

ჩვენ ერთ-ერთ აეროდრომზე ვართ. მშვენიერი ამინდია. აი, რესპუბლიკის ნაკრები გუნდის მწვრთნელმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მწვრთნელმა ა. ხუხრინმა თავისი აღსაზრდელები გამოიყვანა. მოკლე ინსტრუქტაჟი და პარაშუტისტები თვითმფრინავისკენ გაემართნენ.

(გაგრძელება მე-2 გვ.)

თვითმფრინავში ჩასხდომა (მარცხნივ — საქართველოს ნაკრების მწვრთნელი, საბჭოთა კავშირის გმირი ა. ხუხრინი).

● ●

რეკორდები

ნიმბურკი, 11 მაისი. ჩეხოსლოვაკიის ამ ქალაქში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მინსკელმა ძალოსანმა ა. გოლუბოვიჩმა (საშუალო წონა) 175,5 კგ აწია და ნახევარი კილოგრამით გაუუმჯობესა შვედი ათლეტის ჰ. ბეტენბორგის მსოფლიო რეკორდი.

ვილნიუსი, 12 მაისი. მსოფლიოს ექს-რეკორდსმენმა, 37 წლის ბირუტე კალედენმ „ჟალგირისის" მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში 56,10 მეტრზე ტყორცნა შუბი. ეს მეორე შედეგია წლეულს სსრ კავშირში და ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში.

ჩვენს მამულ რესპუბლიკებში

გმირების მემორიალი

რიგნი, 11 მაისი. სამხსოვრო პრიზი — საბჭოთა კავშირის გმირის ნ. კუზნეცოვის ბიუსტი — დღეს სახელგანთქმული მზვერავის ძეგლთან საზეიმოდ გადაეცა ხმელნიცის ოლქის ველოსიპედისტთა გუნდს, რომელმაც ყველას აჯობა ლეგენდარული საბჭოთა პარტიზანის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამატჩო შეხვედრაში.

უკრაინის 11 ოლქის 150-ზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი სამ დღეს ასპარეზობდა სხვადასხვა დისტანციაზე დაყოფილი სტარტით, წრიულ და გუნდურ რბოლაში.

II ადგილი დაიკავეს ტრასის მასპინძლებმა, რომელთაც გადაეცათ პარტიზან-მზვერავთა მეთაურის, საბჭოთა კავშირის გმირის დ. მედვედევის ბიუსტი. ვოლინსკის ოლქის სპორტსმენებმა მიიღეს პრიზი III ადგილისთვის — საბჭოთა კავშირის გმირის ნ. პრიხოდკოს ბიუსტი.

(საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სპარტაკიადის დეგულეგიდან

დასასრული

ფინალურ ასპარეზობაში გამარჯვებული გუნდები (სახეობების მიხედვით) მიიღებენ I და II ხარისხის დიპლომებსა და გარდამავალ ჯილდოებს.

ნაკრები გუნდების იმ წევრებს, რომლებიც I ადგილებს დაიკავებენ, საქართველოს 1971 წლის ჩემპიონის წოდება ენიჭებათ და დაჯილდოვდებიან ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის I ხარისხის დიპლომებით, ხოლო, თუ პირველი თანრიგის შესაბამის და უკეთეს შედეგს აჩვენებენ — ფასიანი საჩუქრებითაც. II და III ადგილებზე გასული სპორტსმენებს გადაეცემათ II და III ხარისხის დიპლომები. ჭაბუკთა და გოგონათა პირადი პირველობის პრიზიორები ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის I, II და III ხარისხის დიპლომებით დაჯილდოვდებიან.

ზონებში მოსაპარეზე რაიონების ნაკრები გუნდების წევრები და პირად პირველობაში II და III ადგილებზე გასული სპორტსმენები ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის III ხარისხის დიპლომებსა და სიგელებს მიიღებენ. ზონების ფინალური შეჯიბრებების მონაწილე რაიონების ნაკრები გუნდების წევრები და პირად პირველობაში I და II ადგილებზე გასული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის I და II ხარისხის დიპლომებით.

სპორტსმენები, რომლებიც სპარტაკიადაში პირველად შეასრულებენ სპორტის ოსტატის ნორმატივს ან დაამყარებენ რესპუბლიკურ რეკორდს სპორტის ოსტატის შედეგით, მიიღებენ რესპუბლიკური კომიტეტის სიგელებს, ხოლო საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულებისთვის — ფასიან საჩუქრებსაც.

მწვრთნელები, რომლებიც მოამზადებენ სპარტაკიადის ჩემპიონს (როგორც პირად, ისე გუნდურ ჩათვლაში), ახალ ოსტატს, სიგელებით დაჯილდოვდებიან, ხოლო საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის მომზადებისთვის მათ ფასიან საჩუქრებსაც გადასცემენ.

საქართველოს V სპარტაკიადის მონაწილე ორგანიზაციებმა წინასწარი განაცხადები (სპორტის სახეობებში) ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის სპორტულ სამმართველოს (თბილისი, ჯაფარიძის ქ. № 4) უნდა წარუდგინონ: ზონებში მოსაპარეზე რაიონის ნაკრები გუნდებისა — ამა წლის 30 ივნისამდე, ნაკრები, ჭაბუკთა და გოგონათა გუნდებისა — 1971 წლის 1 მაისამდე, საბოლოო განაცხადები (დადგენილი ფორმის მიხედვით) — გუნდის საასპარეზოდ ჩამოსვლის დღეს. მწვრთნელი-წარმომადგენელი ვალდებულია განაცხადთან ერთად მსაჯთა კოლეგიას წარუდგინოს რაიონის, ქალაქის, ავტონომიური ოლქისა თუ ავტონომიური რესპუბლიკის სპარტაკიადის პროგრამით აღნიშნულ სახეობაში გამართული შეჯიბრების სრული ანგარიში. თუ ზემოაღნიშნული მოთხოვნები არ შესრულდა, გუნდები რესპუბლიკურ სპარტაკიადაში საასპარეზოდ არ დაიშვებიან.

ადგილებზე სპარტაკიადის მსვლელობის შესახებ ცნობებს (დადგენილი ფორმის მიხედვით) სათანადო კომიტეტები რესპუბლიკურ კომიტეტში წარადგენენ: 1970 წლის 5 ივლისს და 5 ნოემბერს, 1971 წლის 5 ივნისს.

საქართველოს V სპარტაკიადის ჩამტარებელი ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი ბინითა და კვებით (ჩამოსვლის დღეებს ჩათვლით) უზრუნველყოფს ზონალური და ფინალური შეჯიბრებების მონაწილე სპორტსმენებსა და ნაკრებ გუნდებს, სპორტული დელეგაციების ხელმძღვანელებს, მომსახურე პერსონალს.

სხვა სამოვლინებო ხარჯებს გაიღებენ მონაწილე ორგანიზაციები.

საქართველოს სსრ V სპარტაკიადის გრაფიკი

სახეობები	ვადა	ჩატარების ადგილი
ტანვარჯიში	18-23 მაისი	თბილისი
კალათბურთი	26 მაისი-1 ივნისი	თბილისი
ქართული ჰიდაობა	26-29 მაისი	თბილისი
ლელო	29-30 მაისი	თბილისი
საგზაკეცილო ველოსიპედი	29 მაისი-1 ივნისი	თბილისი
ძალოსნობა	29 მაისი-1 ივნისი	თბილისი
წყალბურთი	29 მაისი-1 ივნისი	თბილისი
სამგზო	29 მაისი-1 ივნისი	თბილისი
კლასიკური ჰიდაობა	29 მაისი-1 ივნისი	თბილისი
ტრაკზე ველოსიპედი	29 მაისი-1 ივნისი	თბილისი
თავისუფალი ჰიდაობა	29 მაისი-1 ივნისი	თბილისი
სასტენდო სროლა	29 მაისი-1 ივნისი	თბილისი
ბაიდარეგითა და კანოეგით ნიჩბოსნობა	29 მაისი-1 ივნისი	ფოთი
მძლეოსნობა	29 მაისი- 2 ივნისი	თბილისი
მშვილდოსნობა	29 მაისი- 2 ივნისი	თბილისი
წყალში ხტომა	29 მაისი-2 ივნისი	თბილისი
თანამედროვე ხუთჰიდი	29-მაისი-3 ივნისი	თბილისი
ცურვა	29 მაისი-3 ივნისი	თბილისი
კრივი	29 მაისი-3 ივნისი	თბილისი
ფარიკაობა	29 მაისი- 4 ივნისი	თბილისი
ფრენბურთი	29 მაისი-4 ივნისი	თბილისი
ხელბურთი	29 მაისი-4 ივნისი	თბილისი
ცხენოსნობა	29 მაისი-4 ივნისი	თბილისი
ტყვიის სროლა	29 მაისი-4 ივნისი	თბილისი
აფროსნობა	29 მაისი-6 ივნისი	თბილისი
აკადემიური ნიჩბოსნობა	2-4 ივნისი	თბილისი

ჭაბუკთა და გოგონათა ასპარეზობა

ტანვარჯიში	7-12 მაისი	თბილისი
მძლეოსნობა	4-7 ივნისი	თბილისი
ცურვა	4-9 ივნისი	თბილისი

საქართველოს სსრ ზონალური სპარტაკიადების პროგრამა და გრაფიკი

სახეობა	ვადა	ადგილი
აღმოსავლეთის ზონა		
კალათბურთი	18-23 ოქტომბერი	გორი
თავისუფალი ჰიდაობა	21-24 ოქტომბერი	საგარეჯო
ქართული ჰიდაობა	15-18 ოქტომბერი	გურჯაანი
ფრენბურთი	24-30 სექტემბერი	თელავი
მძლეოსნობა	29-31 ოქტომბერი	გურჯაანი
დასავლეთის ზონა		
კალათბურთი	10-15 ოქტომბერი	სამტრედია
თავისუფალი ჰიდაობა	16-19 სექტემბერი	ონი
ქართული ჰიდაობა	10-13 სექტემბერი	ონი
ფრენბურთი	14-20 სექტემბერი	სამტრედია
მძლეოსნობა	26-28 ოქტომბერი	მახარაძე
გაერთიანებული ზონები		
კლასიკური ჰიდაობა	9-12 ოქტომბერი	მახარაძე
სამგზო	26-28 ოქტომბერი	ახმეტა
საგზაკეცილო ველოსიპედი	17-19 ოქტომბერი	გორი
ტანვარჯიში	18-21 მაისი, 1971 წ.	თბილისი
ლელო	1-8 ოქტომბერი	გეგეჭკორი
ძალოსნობა	23-27 სექტემბერი	გორი

ზონალური სპარტაკიადის ფინალი ჩატარდება 1971 წელს თბილისში

კალათბურთი	26-27 მაისი
თავისუფალი ჰიდაობა	29 მაისი-1 ივნისი
ქართული ჰიდაობა	26-29 მაისი
ფრენბურთი	29-30 მაისი
მძლეოსნობა	29 მაისი-2 ივნისი.

ფაფოროტაბი პირველივე წრეში დამარცხდნენ

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ სსრ კავშირის ნაკრებმა დევისის თასის გათამაშების პირველ წრეში დაამარცხა უნგრეთის ჩოგბურთელთა გუნდი — 3:2. დამატებით გაწვდით ცნობას წყვილთა შეხვედრის შედეგის შესახებ: მეტრეველი, ლიხაჩოვი — ბარანინი, გუიაში 6:4, 4:6, 6:3, 8:6.

სსრ კავშირის ჩოგბურთელები მეორე წრის შეხვედრას მაისის ბოლოს გამართავენ მონაკოს ნაკრებთან, რომელმაც პირველ წრეში დაამარცხა პორტუგალიის გუნდი.

ცნობილია პირველი წრის რამდენიმე სხვა შეხვედრის შედეგებიც: იუგოსლავია — პოლონეთი 3:2, ირლანი — რუმინეთი 1:4, გფრ — დანია 4:1, ახალი ზელანდია — მექსიკა 3:2, შვეიცარია — საფრანგეთი 1:4, შვეცია — ესპანეთი 0:5, თურქეთი — ბულგარეთი 0:5, არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა — ნორვეგია 4:1.

სენსაციურად დამთავრდა ავსტრალიისა და ინდოეთის ჩოგბურთელთა შეხვედრა. ავსტრალიელებმა, რომლებიც დევისის თასის 22-გზის მფლობელები არიან, მარცხის სიმწარე იწვნიეს — 1:4.

დედოფალი ფინულს ტოვებს

ეს გდრ-ის საციგურაო სპორტის კავშირის ჩვეულებრივი სხდომა არ იყო. ამჯერად აციმებდნენ მსოფლიო და ევროპის „ფიგურული ციგურაობის დედოფალს" გაბრიელე ზაიფერტს, რომელიც მწვრთნელად იწყებს მუშაობას.

ბევრი კეთილი და გულთბილი სიტყვა უთხრეს შესანიშნავ სპორტსმენს, რომელიც ბრწყინვალედ იცავდა მუშათა და გლეხთა პირველი გერმანული რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას. საპასუხო გამოსვლაში ჩემპიონმა თქვა: „ჩემთვის, რა თქმა უნდა, ძნელია განშორება სპორტში შეძენილ მეგობრებთან, მაყურებლებთან. მაგრამ, თუმცა ამიერიდან „აქტიური" სპორტსმენი აღარ ვიქნები, წინასწარ მიყვარს მწვრთნელის სამუშაო, რომელსაც ჩემს მშობლიურ ქალაქ კარლ-მარქს-შტადტში შევუდგები. მთელი მონდომებით ვიშრომებ, რათა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა კვლავაც ბევრი გამარჯვება მოიპოვონ ფიგურულ ციგურაობაში".

მწვრთნელად დაიწყეს მუშაობა, აგრეთვე, ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორებმა წყვილთა სრიალში ჰ. შტაინერ-ვალტერმა და ჰ.-უ. ვალტერმა, აგრეთვე, მოცეკვავეებმა ა. ბაიერმა და ე. რუბერმა.

გაბი ზაიფერტმა ფიგურული ციგურაობის მოყვარულთა აღიარება პირველად 1967 წელს მოიპოვა. მაშინ მას, 16 წლის მხიარულ გოგონას, ბრწყინვალე დებიუტი ჰქონდა მოსკოვში, ევროპის ჩემპიონატში. V ადგილი შესანიშნავი დასაწყისია სპორტის ისეთ „კონსერვატულ" სახეობაში, როგორიც ფიგურული ციგურაობაა. მსაჯები მარტო გაბის ასოგაზრდულმა ცეცხლმა როდი მოხიბლა. ზაიფერტის თამამი იმპროვიზაციები მაღალი ტექნიკითაც იყო განმტკიცებული. გაბი დედამისისა და უაღრესად გამოცდილი მწვრთნელის — იუტა მიულერის ხელმძღვანელობით შეუპოვრად, გულმოდგინედ ვარჯიშობდა. ამ გულმოდგინეობის შედეგად წარმატება წარმატებას მოსდევდა. მოსკოვის ჩემპიონატიდან ერთი წლის შემდეგ ზაიფერტი უკვე მეორე იყო ევროპაში და მსოფლიოში.

1969 წელს გაბიმ პირველად მოიპოვა ჯერ ევროპის, შემდეგ კი მსოფლიო ჩემპიონის წოდება. მან უძლიერესის ტიტული შეინარჩუნა 1970 წლის ჩემპიონატებშიც.

ლაიფციგის ფიზიკური კულტურის უმაღლესი სკოლის სტუდენტი გ. ზაიფერტი ნათლად ხედავს თავის გზას. მან უარყო ყინულის ბევრი პროფესიული რევიუს წინადადება. ზაიფერტის ოცნება დედამისივით კარგი მწვრთნელი გახდეს.

ი. მასლოვი.
(ხაზდანის კორ.).

ბერლინი, 11 მაისი.

ლამაზი ცის ფერადი გუმბათები

გაგრძელება

„ან-2" სიმაღლეს იღებს და ციისკენ მიიწევს. სპორტსმენებს დაეაბულობა ეტყობათ. კარი იღება და ბრანებაც გაისმის. პარაშუტისტები თითქოს უფსკრულში ეშვებიან. რამდენიმე წამში ცა ათასფერ გუმბათებად ინთება. ორი-სამი წუთის შემდეგ კი სპორტსმენები ზედიზედ ემვებიან ზუსტად წრის ცენტრში. „ან-2" კვლავ ჰაერში ადის. ვარჯიში რთულდება. სრულდება

(გაგრძელება მე-3 გვ.)

დოსაფის რესპუბლიკური ავიასპორტული კლუბის უფროსი გ. გურგენიძე ფიზიზლადაა — ახლა სპორტსმენები თვითმფრინავს დატოვებენ.

ძმა ძმისთვისაო...

ქართველ მთამსვლელთა მამაცობა

„მთამსვლელობა სიმამაცის სკოლაა" — ასე ფიქრობენ ადამიანები სპორტის ამ სახეობაზე. მართლაც, მთამსვლელი უეჭველად ყოველმხრივ განვითარებული სპორტსმენი უნდა იყოს და სხვა აუცილებელ ღირსებებთან ერთად მას უნდა ახასიათებდეს დიდი გამბედაობა, ამტანობა... ის, რომ მთამსვლელთა უმრავლესობა სწორედ ამ ღირსებების მქონეა, შესანიშნავად დაამტკიცეს ქართველმა სპორტსმენებმა.

ამ ცოტა ხნის წინ ბაქო-ერევნის სარკინიგზო ხაზზე ჩამოიგრა კლდის ვეებერთელა მასივი, რომელმაც დააზიანა სარკინიგზო და საავტომობილო ხაზები ორდობადის მახლობლად. მოძრაობა შეფერხდა. საქმეს ართულებდა ვერტიკალურ კლდეზე შერჩენილი დიდი კლდის მასივიც, რომელიც ყოველ წუთს შეიძლებოდა ჩამოშვავებულიყო.

რა არ იღონეს, საიდან არ მოიწვიეს ხალხი! მაგრამ ვერც ერთმა ჯგუფმა ვერ შეძლო კლდის გადმოკიდებულ მასივზე ასვლა, რათა ასაფეთქებელი მასალა ჩაეწყო. ამასობაში კი ტრანსპორტის მუშაობა ფერხდებოდა, რაც სახელმწიფოს დიდ ზარალს აყენებდა.

აზერბაიჯანის რკინიგზის სამმართველომ დახმარებისთვის მიმართა ჩვენი რესპუბლიკის რკინიგზის სამმართველოს. ამ უკანასკნელმა თავის მხრივ საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს სთხოვა მთამსვლელები გამოეყო. და აი, ჯგუფი საქართველოს ალპიური კლუბის დირექტორის, სპორტის დამსახურებული ოსტატის დ. ობოლაძის ხელმძღვანელობით, მთამსვლელების გ. ზუმბაძის, დ. თარხნიშვილის, ზ. ქიქოძისა და თ. ახალკაცის შემადგენლობით შემთხვევის ადგილზე გაემგზავრა.

...დილის 6 საათზე ჯგუფი 150-მეტრიანი ვერტიკალური კედლის დაძლევას შეუდგა. აქ იყვნენ გეოლოგები, ამფეთქებლები, საგზაო და რკინიგზის ინჟინერები, რომლებიც იმედის თვალით შესცქეროდნენ მთამსვლელებს. ერთი დღის დაძაბული შრომის შემდეგ მთამსვლელებმა შეძლეს კედელი მოძრავი ქვებისგან გაესუფთავებინათ და კლდე ასაფეთქებლად მოამზადეს. მეორე დღეს დიდი შრომის შემდეგ აიტანეს ასაფეთქებელი მასალა. საკმარისია ითქვას, რომ ეს მასალა თითქმის 600 კილოგრამს იწონიდა. ყველა სამუშაო დღის 1 საათზე დამთავრდა და ამფეთქებლები თავიანთ საქმეს შეუდგნენ. ნახევარი საათის შემდეგ მიდამო მტვერში გაეხვია და 10 წუთის მანძილზე თვალით არაფერი ჩანდა. შემდეგ კი ნათლად გამოჩნდა ჩამოწმენდილ-ჩამოსუფთავებული კლდე.

ახლახან აზერბაიჯანის რკინიგზის უფროსმა ა. ბაგიროვმა ფულადი პრემიებით დაჯილდოვა მამაც მთამსვლელთა ჯგუფი. საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის გ. სიხარულიძის სახელზე გამოგზავნილ დეპეშაში აზერბაიჯანელები მადლობას უძღვნიან ქართველ მთამსვლელებს შესანიშნავად ჩატარებული ოპერაციისთვის.

ა. ცეხანელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

● „იმერეთი“ (თერჯოლა) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 1:3. მსაჯი ა. იზრაელაშვილი.

სამტრედიელმა ფეხბურთელებმა განსაკუთრებით კარგად ითამაშეს პირველ ტაიმში — კახაიამ ორჯერ აიღო ლამა მეტოქე ცენტრიდან დაეწყო თამაში. შემდგომში თამაში გათანაბრდა და ხომენკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისაბონი, 11 მაისი. ევროპის ჩემპიონმა — იტალიის ფეხბურთელთა ნაკრებმა აქ გამართულ ამხანაგურ მატჩში ანგარიშით 2:1 დაამარცხა პორტუგალიის ეროვნული გუნდი. სტუმართაგან ორივე გოლი 38-ე და 65-ე წუთებზე გაიტანა რივამ. ერთი ბურთი პორტუგალიელმა ხუმბერტომ თამაშის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე გაქვითა.

კასაბლანკა, 11 მაისი. მსოფლიოს IX საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის დებიუტანტმა — მაროკოს ნაკრებმა აქ მოუგო თამაში სან-პაულუს „კორინტიანსს" — 1:0. ეს ერთადერთი ბურთი ბრაზილიელთა კარში 82-ე წუთზე გაიტანა მაარუფიმ.

ტოლუკა, 11 მაისი. 1:0 — ასეთი ანგარიშით დაამარცხა მექსიკის ნაკრებმა დორტმუნდის „ბორუსია". დასავლეთგერმანელ ფეხბურთელთა კარში ბურთი 35-ე წუთზე 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გაიტანა მცველმა პენამ.

სოფია, 11 მაისი. ბულგარეთის ნაკრებმა აქ ფრედ — 1:1 (1:1) დაამთავრა ამხანაგური შეხვედრა ბუქარესტის „სტიაუასთან".

ბოგოტა, 12 მაისი. სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები ჩამოვიდა კოლუმბიის დედაქალაქში. იგი ადგილობრივ კლუბებთან ორ მატჩს გამართავს — ოთხშაბათს „მილიონარიოსს" შეხვდება, პარასკევს კი მედელინში — „ინდეპენდიენტეს". 17 მაისს სახელმწიფოთა გუნდი ეკვადორის დედაქალაქ კიტოში ითამაშებს.

„გოლი-70"

...ბურთი აქვს მექსიკელ ნახევარმცველს. გადაცემა, დარტყმა. საბჭოთა მეკარე ბრწყინვალე ნახტომით იღებს ბურთს მექსიკის ნაკრების ფორვარდები ისევ უტევენ... სსრ კავშირისა და მექსიკის მატჩის რეპორტაჟი მოუწყო... 3 მაისს. თითქმის ერთი თვით ადრე „აცტეკის" სტადიონზე ფეხბურთელთა IX მსოფლიო ჩემპიონატის გახსნამდე. მაგრამ მატჩი იმ დღეს, რა თქმა უნდა, არ ჩატარებულა. იყო მხოლოდ სცენარი, რომელიც საანგარიშო-გამომთვლელმა მანქანამ შეადგინა. მოუთმენელი გულშემატკივრების გასახარად, მექსიკელმა ფეხბურთის მიმომხილველებმა გადაწყვიტეს რადიოჩემპიონატი ჩაეტარებინათ. მათ გამომთვლელ მანქანაში ჩადეს უზუსტესი მონაცემები ფინალის მონაწილე თექვსმეტივე გუნდზე. ელექტრონმა მანქანამ სცენარი შეადგინა და ამის საფუძველზე მოეწყო გადაცემა „გოლი-70".

„ინგლისი თუ ბრაზილია, ბრაზილია თუ ინგლისი — აი, პირველ ყოვლისა, ვის ასახელებენ ოქროს ქალღმერთის პრეტენდენტად ამ ორი სახელმწიფოს ფეხბურთელები ბოლო ოთხი წლის მანძილზე ყურადღების ცენტრში იყვნენ. შარშან რიო-დე-ჟანეიროში ფავორიტებმა ერთგვარი რეპეტიცია გამართეს. მაშინ ბრაზილიელებმა გაიმარჯვეს, მაგრამ ჩემპიონთა მწვრთნელმა ა. რამსეიმ ტიპური ინგლისური გულგრილობით განაცხადა: „ჩვენი ეს მარცხი მექსიკაში გამარჯვებას უდრის. ინგლისელთა გუნდი კვლავ უძლიერესია. . ბრაზილიელებს მხოლოდ შინ შეუძლიათ კარგად თამაში, ჩვენ — ყველგან".

სწორია თუ არა ეს? ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელები ბრწყინვალედ გამოსულან უცხო სტადიონებზეც — შვეიცარიაში, 1958 წლის ჩემპიონატში, და ჩილეში 1962 წელს. ეს კია, რომ ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატში მათ მარცხი იწვნიეს.

შეიძლება ბევრი სხვა ფავორიტის დასახელებაც. როგორც ჩანს, ბრაზილიის ნაკრების ყოფილ მწვრთნელს ჟ. სალდანიას ტყუილად არ ჩაუტარებია ერთი წლის წინ ფსიქოლოგიური იერიში ევროპელებზე, როცა ისინი მეაცრ, უხეშ თამაშში დადანაშაულა. იგი ალბათ ფიქრობდა, რომ მსაჯები განსაკუთრებით დაიცავდნენ ლათინური ამერიკის წარმომადგენლებს...

მაგრამ აი, სამხრეთ ამერიკაში ზედიზედ დაიწყეს ჩასვლა ევროპის გუნდებმა და მსაჯებს არავითარი საგანგაშო სიგნალი არ მიუცია. სამაგიეროდ, ამ საგაზაფხულო ამხანაგურ მატჩებში ევროპის წარგზავნილები მეტოქეებზე გაცილებით ძლიერად თამაშობდნენ.

დიახ, საფეხბურთო სამყაროში მთავარი დავა კვლავ სამხრეთ ამერიკისა და ევროპის გუნდებს შორის მიმდინარეობს. ანგარიში ჯერჯერობით თანაბარია. პლანეტის ჩემპიონები 4-4-ჯერ გახდნენ ამ კონტინენტების წარმომადგენლები.

...ჩემპიონატის ქვეყანაში საფეხბურთო „დეხანტი" უკვე გადასხეს. პირველნი მექსიკაში ბრაზილიელები ჩავიდნენ. ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ ისინი თანამემამულეთა კრიტიკას გაექცნენ. იჩქარეს ინკოსილებმაც. თავისი თავდამსხმელების გაუმჯობესებული მოქმედებით შეშფოთებული რამსეი ფიქრობს გუნდის თამაში კოლუმბიასა და ეკვადორში ამხანაგური მატჩებისა და წვრთნის დროს გამოასწოროს.

...ჯერჯერობით კი ტემპერამენტიანი მექსიკელი რადიოკომენტატორები გულშემატკივრებს აუწყებენ გუნდების გამარჯვებისა თუ მარცხის ამბებს თავიანთ ტურნირში „გოლი-70". 25 მაისს ცნობილი გახდება „მსოფლიო ჩემპიონის" ვინაობა. ჩვენ კი დაველოდოთ 21 ივნისს — ნამდვილი ჩემპიონის დაბადების დღეს.

ა. კაჩალოვი,
ვ. კუკუშკინი.
(საკადესის კორ.).

• • •

მეხიკო, 12 მაისი. სსრ კავშირის ნაკრებმა რადიოტურნირ „გოლი-70"-ის მატჩში ანგარიშით 2:1 დაამარცხა ბელგიის გუნდი. ეს ანგარიში აღნიშნა ელექტრო-გამომთვლელმა მანქანამ, რომელმაც გოლების ავტორებიც კი „დაასახელა": ნოდია და პუშაჩი. „ელექტრომკითხავმა" მექსიკის გუნდს სალვადორელები დაამარცხებინა (3:0), ხოლო ჩემპიონატის მასპინძელთა პირველი თამაში სსრ კავშირის ნაკრებთან ფრედ დაამთავრა — 1:1.

რალის რთული ტრასა

მონტეკიდეო, 11 მაისი. 9 მაისს ღამით ლონდონ—მეხიკოს ზემარათონული ავტორალის მონაწილეები ელოდ დაადგნენ გზას. ლათინური ამერიკის გზების პირველივე ასეულმა კილომეტრებმა ცხადყო, რომ ეს ეტაპი ევროპულზე ბევრად რთული იქნება. რიო-დე-ჟანეიროში 70 მანქანამ აიღო სტარტი და მონტევიდეომდე მათგან მხოლოდ 52 მოვიდა.

ხუთივე საბჭოთა „მოსკვიჩი" მეკობრულად ავრცელებს გზას და წარმატებით ძლევს ყველა დაბრკოლებას. მრბოლის ლიდერს, ფრანგ ტრაუტმანს კი ბედმა უმტყუნა — მისი მანქანა სამჯერ გადაბრუნდა ხიდზე და, როგორც რალის ერთ-ერთმა მონაწილემ გამოთქვა, ქალალდივით დაიტმუჭნა. ტრაუტმანის მეუღლე, რომელიც პირველი იყო ქალთა ჯიპაჯებში, მონტევიდეოში მშვიდობიანად ჩამოვიდა, მაგრამ ლიდერობა დაკარგა.

მრბოლელები ტრასის სირთულეს უჩივიან. მათ ხშირად ეღობებათ სხვადასხვა დაბრკოლება, დაწყებული უზარმაზარი რიყის ქვებით და დამთავრებული გზის გარღვევამდე დაყრილი სატელეგრაფო ბოძებით. ინგლისელი პრინცი და მისი თანაგუნდელები „მეფის ჯუსართა" პოლკიდან შეჯიბრებას გამოეთიშნენ — მათი მანქანა გზაზე ჩამოწოლილ კლდის ნატეხებს შეასკდა და დაიმსხვრა.

სპორტსმენებს ხელს უშლით ენის უცოდინარობასთან დაკავშირებული სირთულეც. მრბოლელთა უმეტესობამ პორტუგალიური არ იცის და ამიტომ ადგილობრივ პოლიციელებს თითქმის ვერაფერს აგებინებს. ამის შედეგად რალის მონაწილე ერთ-ერთ მანქანას პოლიციელებმა ტყვია დაუშინეს, მძღოლები კი დააპატიმრეს — ისინი ჯაშუშებად მიიჩნიეს. საბედნიეროდ, საქმე უსისხლოდ დამთავრდა. საერთოდაც, მრბოლელებიდან სერიოზული ტრავმა ჯერჯერობით არავის მიუღია.

• KORANA • ФУТБОЛ • ФЕХБУРТИ • LABDARUGAS •

პელეე დაიწუნა... ამარილდო

ახლა, როცა ბევრი სპეციალისტი ბრაზილიის ნაკრების შანსებს მსოფლიო ჩემპიონატში ერთობ სკეპტიკურად უყურებს, ამ გუნდის ხელმძღვანელობამ აზრი გამოთქვა იტალიიდან გამოეხმოთ ამარილდო.

„თეთრი პელეს" გამოძახებას წინ ადუდგა... პელე. „მე და ტოსტაო ჩინებულად ვართ შეთამაშებული, ვიცით, რა ვაკეთოთ. რა საჭიროა ამარილდოს გამოძახება?!"

ამის შემდეგ გადაწყდა თავი შეიკავონ ამარილდოს გამოძახებაზე, რომელსაც ადრე მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის დიდი იმედი ჰქონდა. ეტყობა, ეს ძალიან ესიამოვნა ნახევარმცველ გერსონს, რომელმაც განაცხადა: „ფრიად ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ჩვენ ინგლისელებსაც მოვუგებთ, ჩეხოსლოვაკიელებსაც და რუმინელებსაც!"

„მექსიკაში გაიმარჯვებენ... ექიმები!"

ამას წინათ რომში გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელიც მომავალი მსოფლიო პირველობის პრობლემებს მიეძღვნა. „ვინ გაიმარჯვებს მექსიკაში?" — ჰკითხეს ა. დი სტეფანოს.

— მექსიკაში გაიმარჯვებენ... ექიმები! — ასეთი იყო განთქმული ფეხბურთელის პასუხი. მას არაერთხელ უთამაშია მექსიკაში და იცის, რომ ფეხბურთელებს ძალიან ძნელ პირობებში მოუხდებათ გამოსვლა.

— ამიტომ ვამბობ, რომ მსოფლიო ჩემპიონატს ის გუნდი მოიგებს, ვისაც ყველაზე უკეთესი ექიმი ეყოლება. ექიმების როლი ახლა ისე მნიშვნელოვანი იქნება, როგორც არასდროს, — დაასკვნა დი სტეფანომ.

ლამაზი ცის ფერადი გუმბათები

დასასრული

და აღზარდა. 1966 წლიდან მისმა აღსაზრდელებმა 130-ზე მეტი ოქროს მედალი დაისაკუთრეს, ბევრი საკავშირო და მსოფლიო რეკორდი დამყარეს. აი, ახლაც ხუთრინის ხელმძღვანელობით ხვეწენ ოსტატობას მსოფლიოსა და სსრ კავშირის მრავალგზის რეკორდსმენები, საქართველოს ნაკრების წევრებიც.

მწვრთნელს ვთხოვეთ ჩვენი საუკეთესო სპორტსმენები დაგვასახელებინა. „სიამოვნებით, — გვითხრა მწვრთნელმა. — ესენი არიან სპორტის ოსტატები დ. ივანოვი, ლ. გოგიშვილი, ნ. უშმაევი, ი. პიიარკინი, ვ. ბონდარენკო, ვ. გავრილოვი; სპორტის ოსტატობის კანდიდატები გ. კრავჩენკო, ო. მოროზოვი. ქალებიდან — სპორტის ოსტატები ზ. პოგორელოვა, ლ. კოვალენკო, სპორტის ოსტატობის კანდიდატი ო. ფომინა და სხვები".

აეროდრომიდან რომ ვბრუნდებოდით, „ან-2" ისევ ჰაერში იყო, ისევ ეშვებოდნენ სპორტსმენები ხახადაღებულ უფსკრულში, რამდენიმე წამის შემდეგ კი მათს თვალწინ ალბათ ლამაზი ცის ფერად-ფერადი გუმბათები ნათდებოდა.

ტექსტი და ფოტოსურათები
ბ. ქვათაძისა.

ნახტომი იღბლიანი გამოდგა და პირველთანრიგოსანი ს. პეტროვა მშვენიერ გუნებაზეა.



სსრ კავშირისა და მსოფლიოს რეკორდსმენები ა. გოგიშვილი (მარჯვნივ) და ვ. ბონდარენკო თვითმფრინავში ჩასხდომის ადგილისკენ მიემართებიან.

ეროვნული ნაკრები ჯერ-ჯერობით ფრაზაა

თხილამურებზე... ევერესტიდან

იაპონელმა პროფესიონალმა სამთო-მოთხილამურემ და მთამსვლელმა, 37 წლის ი. მიურამ ფანტასტიკური სწრაფდაშვება განახორციელა დედამიწის უმაღლესი მწვერვალიდან კვერესტიდან (ჰიმალაი, ნეპალი). მართალია, იგი მთის წვერიდან არ წამოსულა — 7.780 მეტრიდან დაეშვა და ევერესტის სამხრეთ ფერდობის ციცაბო, 3000-მეტრიან ტრასაზე ტყვიასავით ჩაიქროლა — დროდადრო საათში 150 კილომეტრამდე სისწრაფეს ანვითარებდა. სახიფათო თხემებისთვის გვერდი რომ აეცია, მას გზაში ოთხი მკვეთრი „ვირაჟის" გაკეთება მოუხდა.

მიურას ზურგზე ჟანგბადიანი ბალონი და 3 სამუხრუჭო პარაშუტი ჰქონდა დამაგრებული. ერთ-ერთმა მათგანმა იგი სიკვდილს გადაარჩინა — ფინიშამდე 300 მეტრი იყო დარჩენილი, როცა ძლიერმა ქარმა მიურა ძირს დასცა. ერთი თხილამური უფსკრულში ჩასრიალდა, თვით მამაცი სპორტსმენი კი ბარძაყის დაშავებით „დაკმაყოფილდა". ტრასის გავლას მიურამ 2 წუთი და 20 წამი მოანდომა.

მიურას სწრაფდაშვებაზე ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტს ესაუბრა ნეპალის დედაქალაქ კატმანდუში ჩაფრენილი ხელმძღვანელი იაპონელ მთამსვლელთა ჯგუფისა, რომელმაც ეს არაჩვეულებრივი „სამთო სპექტაკლი" მოამზადა. ხელმძღვანელმა ტ. ფუტისიმამ თქვა, ევერესტის გმირი კატმანდუში ცოტა მოგვიანებით ჩამოვაო.

ჩოსკ კეგეთი ლესკეფლეგ ჯგალ იყო...

რედაქტორი მ. კაკაბაძე.